ტესტი ისტორიაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელ სახელმწიფოს მართავდა ჰატშეფსუტი?

ა) ასურეთს;

ბ) ბაბილონს;

გ) მიდიას;

დ) ეგვიპტეს.

(1) 2. ათენის რომელმა მმართველმა აკრძალა ვალის გამო თავისუფალი მოქალაქის მონად გაყიდვა?

ა) პერიკლემ;

ბ) კლისთენმა;

გ) თემისტოკლემ;

დ) სოლონმა.

(1) 3. რაში მდგომარეობდა დარიოს I-ის ეკონომიკური რეფორმა?

ა) მოჭრა ოქროს მონეტა;

ბ) დააწესა სულადობრივი გადასახადი;

გ) შემოიღო ქაღალდის ფული;

დ) ვაჭრობის უფლება მხოლოდ სპარსელებს მიანიჭა.

(1) **4. ვინ იყვნენ პატრიციები ძველ რომში?**

ა) ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ ცხოვრება ქალაქის ფარგლებში;

ბ) გათავისუფლებული მონები, რომლებიც იჯარის პირობით ამუშავებდნენ მიწათმფლობელთა ნაკვეთებს;

გ) წარჩინებული და მდიდარი გვარების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ სენატის მუშაობაში;

დ) დაქირავებული მეომრები, რომლებიც სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ მოქალაქეობის უფლებას იღებდნენ.

(1) **5. რა იყო ბერძენ-სპარსელთა ომების ერთ-ერთი შედეგი?**

ა) ხმელთაშუაზღვისპირეთში კოლონიზაციის პროცესის დაწყება;

ბ) მცირეაზიულ პოლისებზე აქემენიანთა სპარსეთის გავლენის დამყარება;

გ) სპარტელთა მიერ კუნძულ კვიპროსის დაუფლება;

დ) ათენის მეთაურობით ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების კავშირის შექმნა.

(1) 6. ვისა და ვის შორის გაიმართა აქციუმის ბრძოლა ძვ. წ. I საუკუნეში?

ა) სულასა და მარიუსს;

ბ) კეისარსა და პომპეუსს;

გ) ანტონიუსსა და ოქტავიანეს;

დ) მაქცენსიუსსა და კონსტანტინეს.

(1) 7. რა მნიშვნელოვანი მოვლენაა დაკავშირებული სტილიქონის სახელთან?

ა) ჩაახშო მონათა მასშტაბური აჯანყება სპარტაკის მეთაურობით და აღადგინა იმპერატორის მმართველობა;

ბ) აუჯანყდა დასავლეთ რომის უკანასკნელ იმპერატორს რომულუსს და ჩამოაგდო ტახტიდან;

გ) მისი რჩევით თეოდოსიუსმა ძველი ბერძნული ქალაქის ბიზანტიონის ადგილას ახალი დედაქალაქი დააარსა;

დ) დაამარცხა ალარიხი, რომლის მეთაურობით ვესტგოთები არბევდნენ დასავლეთ რომის იპერიას.

(1) 8. ვის ებრძოდა ბრიტების ლეგენდარული მეფე არტური?

ა) ლანგობარდებს;

ბ) ანგლოსაქსებს;

გ) ოსტგოთებს;

დ) ჰუნებს.

(1) **9. რა უკავშირდება კარლოს დიდს?**

ა) გარდაცვლილი ძმის კარლომანის სამფლობელოს დამორჩილება და ფრანკთა სამეფოს გაერთიანება;

ბ) მამისგან ანდერძით ფრანკთა იმპერატორის ტიტულის და ვრცელი მიწების მიღება სამხრეთ ესპანეთში;

გ) მადიარების დამარცხება კატალაუნის ბრძოლაში და ევროპაში მათი ექსპანსიის შეჩერება;

დ) რომის პაპისთვის მიწების გადაცემა სამხრეთ იტალიაში, რომლითაც დაიწყო პაპის ოლქის ჩამოყალიბება.

(1) 10. რა იყო პაპ გრიგოლ VII-ის მიერ გამოცემული დოკუმენტის, „პაპის (პაპობის) დიქტატის“ მიზანი?

ა) ლუთერანიზმის წინააღმდეგ ბრძოლა;

ბ) რომის პაპის ძალაუფლების განმტკიცება;

გ) სარაინდო ორდენების წესდებების დამტკიცება;

დ) საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობის წესის დადგენა.

(1) 11. რომელი ინფორმაციაა მართებული XI საუკუნეში მოღვაწე ნორმანდიის ჰერცოგ უილიამის შესახებ?

ა) მხარი დაუჭირა ბურბონების გამეფებას საფრანგეთში;

ბ) შეაჩერა არაბთა ლაშქრობა ცენტრალურ ევროპაში;

გ) დაამარცხა ინგლისის მეფე და დაეუფლა მის ტახტს;

დ) პირველი გაქრისტიანდა ნორმან მმართველებს შორის.

(1) **12. რა მოჰყვა შედეგად სულთან მალიქ-შაჰის გარდაცვალებას?**

ა) ბიზანტიასთან დაზავება და მისთვის პალესტინაში მიწების დაბრუნება;

ბ) ისლამის უარყოფა და წარმართობის აღორძინება;

გ) მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა და იერუსალიმის დაკარგვა;

დ) შინაომი და სახელმწიფოს ერთიანობის დაშლა.

(1) **13. რა ვალდებულება დააკისრეს მონღოლებმა ქართველებს?**

ა) ქალაქების უშუალოდ ყაენისადმი დამორჩილება;

ბ) მმართველობის ფორმის შეცვლა;

გ) ლაშქრობებში მონაწილეობა;

დ) ისლამის გავრცელება.

(1) **14. რას არეგულირებდა ევროპის ფეოდალურ საზოგადოებაში ომაჟი?**

ა) წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობას;

ბ) გილდიებისა და ამქრების ურთიერთდამოკიდებულებას;

გ) სამეფო კარზე მყოფი ფეოდალების უფლება-მოვალეობებს;

დ) სენიორსა და ვასალს შორის არსებულ ურთიერთობებს.

(1) **15. ვის შესახებ მოგვითხრობს შუა საუკუნეებში მოღვაწე სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი?**

ა) ხაზარების;

ბ) ყიზილბაშების;

გ) მონღოლების;

დ) ოსმალების.

(1) 16. რომელი ევროპელი მონარქი ჩავარდა ტყვედ ჯვაროსნული ლაშქრობისას?

ა) კონრად III;

ბ) ლუი IX;

გ) მანუილ I;

დ) ფრიდრიხ II.

(1) **17. რას შეუწყო ხელი მესამე წოდების ჩამოყალიბებამ შუა საუკუნეების ევროპაში?**

ა) რეკონკისტასა და რისორჯიმენტოს;

ბ) ჩარტისტებისა და ლუდისტების მოძრაობის აღორძინებას;

გ) აპარტეიდისა და კასტების გაუქმებას;

დ) ჰუმანიზმსა და რენესანსს.

(1) **18. რა იყო 1396 წელს გამართული ნიკოპოლის ბრძოლის შედეგი?**

ა) ბიზანტიელებმა შეაჩერეს ოსმალთა წინსვლა და დაიცვეს კონსტანტინოპოლი;

ბ) ოსმალებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე და გაიმყარეს მდგომარეობა ბალკანეთში;

გ) ბალკანელმა სლავებმა დაამარცხეს ოსმალები და გაათავისუფლეს ქალაქი ბუდა;

დ) ოსმალებმა დაამარცხეს ბერძენთა გაერთიანებული ჯარი და დაიკავეს პელოპონესი.

(1) 19. VIII-XV საუკუნეებში რომელ ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მუსლიმებს უწოდებდნენ მავრებს?

ა) პირენეს;

ბ) ბალკანეთის;

გ) პელოპონესის;

დ) მცირე აზიის.

(1) 20. რომელ სახელმწიფოებს შორის გაფორმდა ტორდესილასის ხელშეკრულება?

ა) პორტუგალიასა და ინგლისს;

ბ) ინგლისსა და საფრანგეთს;

გ) საფრანგეთსა და ესპანეთს;

დ) ესპანეთსა და პორტუგალიას.

(1) 21. რომელი ფაქტია მართებული „ოცდაათწლიანი ომის“ შედეგების შესახებ?

ა) დანია ჩრდილოეთ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა;

ბ) ევროპაში ჰაბსბურგთა დინასტიის გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა;

გ) პროტესტანტები იძულებული გახდნენ საღვთო რომის იმპერია დაეტოვებინათ;

დ) პრუსიის თაოსნობით გერმანიის გაერთიანების პროცესი წარმატებით დასრულდა.

(1) 22. რომელი მსჯელობაა მართებული სეფიანთა ირანის შესახებ?

ა) თეთრბატკნიანმა თურქმანებმა ჩაღატას ულუსის დაშლით ისარგებლეს და ირანის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო დააფუძნეს, რომელსაც სეფიანები ჩაუდგნენ სათავეში;

ბ) სეფიანთა დინასტიის დამაარსებელმა ირანზე ჰუნების თავდასხმები საბოლოოდ აღკვეთა და თავი ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად გამოაცხადა;

გ) ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ქართველებმაც შეასრულეს, რომელთაც სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს პირველ სეფიან შაჰს;

დ) მცირე აზიიდან განდევნილმა მხედართმთავარმა, აღა მაჰმად ხანმა თავი ირანს შეაფარა, სადაც სელჩუკები დაამარცხა და სეფიანთა დინასტიას ჩაუყარა საფუძველი.

(1) **23. ვინ იყო ფილიპე II ჰაბსბურგი?**

ა) თავდაპირველად ავსტრიის, ხოლო შემდეგ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი;

ბ) ესპანეთის მეფე, რომელსაც მემკვიდრეობით ნიდერლანდებიც ეკუთვნოდა;

გ) საღვთო რომის იმპერატორი, რომელიც ჩეხეთის ტახტსაც იკავებდა;

დ) პრუსიის მეფე, რომელიც მოგვიანებით იტალიასაც დაეუფლა.

(1) **24. რომელი ფაქტი *<u>არ არის მართებული</u>* სულეიმან I-ის ლაშქრობათა შესახებ?**

ა) გაიმარჯვა კოსოვოს ბრძოლაში;

ბ) დაამარცხა უნგრეთის სამეფო;

გ) ალყა შემოარტყა ვენას;

დ) აიღო ბელგრადი.

(1) **25. ვინ იყო გიორგი სააკაძე?**

ა) საქართველოს ამირსპასალარი, რომელმაც არაგვის ხეობაში თემურლენგის ლაშქარი დაამარცხა;

ბ) დიდებული, რომელსაც ოსმალეთის სულთნის კარზე დიდი ვეზირის თანამდებობა ეკავა;

გ) ქართლის ერისთავი, რომელიც ჯალალედინის შემოსევის დროს თბილისის დაცვას ხელმძღვანელობდა;

დ) მხედართმთავარი, რომელიც ქართველთა ჯარს სარდლობდა მტრის წინააღმდეგ ომში.

(1) **26. რომელი ფაქტი *<u>არ არის მართებული</u>* ლუი XVI-ის შესახებ?**

ა) საფრანგეთის კონსტიტუციის მიღებამ მისი ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდა;

ბ) საფრანგეთის რევოლუციის ჩახშობის მიზნით დახმარებას თხოვდა ევროპელ მონარქებს;

გ) საფრანგეთში რევოლუციის საბოლოო დამარცხების შემდეგ ემიგრაციიდან დაბრუნდა და ტახტი ხელახლა დაიკავა;

დ) საფრანგეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად იძულებული გახდა გენერალური შტატები მოეწვია.

(1) 27. რომელ სახელმწიფოს წაართვეს ინგლისელებმა ტერიტორია ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ამჟამად ქალაქი ნიუ-იორკი მდებარეობს?

ა) ესპანეთს;

ბ) საფრანგეთს;

გ) პორტუგალიას;

დ) ნიდერლანდებს.

(1) **28. რომელი ინფორმაციაა მართებული ნაპოლეონ I-ის მიერ ესპანეთში წარმოებული სამხედრო კამპანიის შესახებ?**

ა) პირენეს ნახევარკუნძულზე გლეხთა აჯანყება იყო, ამიტომ ნაპოლეონმა ადვილად შეძლო ესპანელების დამორჩილება;

ბ) საფრანგეთის არმიამ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა, რადგან ესპანელებმა პარტიზანული ომი წამოიწყეს;

გ) მხარდაჭერა გამოუცხადა პორტუგალიამ, რომელიც საფრანგეთის მოკავშირე იყო და ესპანეთს მტრობდა;

დ) ესპანეთის იმპერატორი არ დათანხმდა მოთხოვნას, შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას, რაც ესპანეთის ოკუპაციის მიზეზი გახდა.

(1) 29. რამ შეუწყო ხელი პრუსიას XIX საუკუნის 60-იან წლებში ავსტრიის დამარცხებაში?

ა) ესპანეთის სამხედრო დახმარებამ;

ბ) საფრანგეთის ჩაურევლობამ;

გ) რუსეთის მოკავშირეობამ;

დ) ოსმალეთთან ალიანსმა.

(1) **30. რომელი შეფასებაა მართებული დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ინგლისის შესახებ?**

ა) მისი მმართველობა მიჩნეულია ყველაზე კრიზისულ ხანად ინგლისის ისტორიაში;

ბ) მთავრობის პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს თანდათანობით, ევოლუციური გზით განვითარებას;

გ) აქტიურად ერეოდა ევროპის ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში და მხარს უჭერდა გერმანიის გაერთიანებას;

დ) გაძლიერებული პარლამენტი ცდილობდა მონარქიული მმართველობა რესპუბლიკურით შეეცვალა.

(1) **31. რა მოიმოქმედეს აშშ-ის სამხრეთის შტატებმა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მონობის მოწინააღმდეგე აბრაამ ლინკოლნი გახდა?**

ა) კონფედერაცია შექმნეს და აშშ-ს გამოეყვნენ;

ბ) აჯანყება მოაწყვეს და გერმანიის იმპერიას სთხოვეს დახმარება;

გ) ჩრდილოეთის შტატებში საიდუმლო ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანი შექმნეს;

დ) ყველა შტატში რეფერენდუმი ჩაატარეს და მის შედეგებზე დაყრდნობით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

(1) **32. რომელმა სახელმწიფომ აღმოუჩინა სამხედრო დახმარება პიემონტ-სარდინიის სამეფოს იტალიის გაერთიანებისთვის ბრძოლაში?**

ა) რუსეთმა;

ბ) ესპანეთმა;

გ) საბერძნეთმა;

დ) საფრანგეთმა.

(1) **33. რა სახელწოდებით არის ცნობილი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შექმნილი ანტისაბჭოთა ორგანო, რომელშიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები გაწევრიანდნენ?**

ა) საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი;

ბ) საქართველოს განთავისუფლების კავშირი;

გ) ინტერპარტიული საბჭო;

დ) პოლიტიკური ცენტრი.

(1) **34. რომელი ინფორმაციაა მართებული მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობის შესახებ?**

ა) ქართული დივიზიები პირველები შევიდნენ კენიგსბერგში;

ბ) ქართულმა დივიზიებმა ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს ბრესტის დაცვის დროს;

გ) ქართველები მხოლოდ სსრკ-ის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობდნენ;

დ) ქართულმა შენაერთებმა დიდი მსხვერპლი განიცადეს ქერჩში.

(1) **35. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ახალი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების შექმნას?**

ა) საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის შიდაფრაქციულმა ბრძოლამ;

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალმა კონსტიტუციამ;

გ) საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ახალმა პოლიტიკურმა კურსმა;

დ) საბჭოთა საქართველოს კომუნისტური მთავრობის რეპრესიულმა პოლიტიკამ.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ეგვიპტის სახელმწიფოს ძლიერებას რუკაზე ასახულ პერიოდში?**

ა) ალაშიას სამეფოს ფლოტის დამარცხება;

ბ) ეგვიპტელთა ჯარის მიერ ქალაქ ნინევიას აღება;

გ) სამხრეთ შუამდინარეთში მცხოვრები ტომების დამორჩილება;

დ) ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის დაპყრობა.

(1) **36.2. რა ეწოდებოდა რუკაზე მწვანე ფერით აღნიშნულ სამეფოს, რომელიც ეგვიპტის მოწინააღმდეგე იყო?**

ა) ხეთების;

ბ) ჰიქსოსების;

გ) ნუბიელების;

დ) მიდიელების.

(1) **36.3. ეგვიპტის რომელი ფარაონის მმართველობის პერიოდში გამართული ბრძოლაა ასახული რუკაზე?**

ა) რამსეს II-ის;

ბ) ნეფერტიტის;

გ) თუტმოს III-ის;

დ) ამენჰოტეპ IV-ის.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან წამოიწყო ლაშქრობა მწვანედ აღნიშნული სამეფოს ჯარმა?**

ა) სამუხადან;

ბ) ნერიკიდან;

გ) ხათუსადან;

დ) პი-რამსესიდან.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) ქალაქ ბაბილონს, რომელიც ასურეთის სამეფოს დედაქალაქი იყო, კასიტების ტომი თავს დაესხა;

ბ) წითელი და მწვანე ფერის ისრებით აღნიშნულ ჯარებს შორის გამართულმა ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა;

გ) ყვითელი ფერით აღნიშნული სამეფოს ჯარი კუნძულ კრეტაზე შეიჭრა და იქ მდებარე ქალაქები დაიკავა;

დ) კოლხებთან წარუმატებელი დაპირისპირების შემდეგ ქაშქების ტომი მწვანედ აღნიშნული სამეფოს ტერიტორიაზე გადასახლდა.

(1) 36.6. რუკის მიხედვით, რომელი რეგიონი *<u>არ შედიოდა</u>* რუკაზე აღნიშნული სახელმწიფოებიდან არც ერთის შემადგენლობაში?

ა) ქანაანი;

ბ) არზავა;

გ) ამურუ;

დ) ფალა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1. კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2. და 37.3. დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4. დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

1956 წელს უნგრეთში შეიქმნა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც მასობრივ გამოსვლებში გადაიზარდა.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ ამ კრიზისის ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიზეზი.

(1) **37.2.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო უნგრეთის გამოსვლების წარმატებით დასრულება დადებითი შედეგის მომტანი, გარდა თავად უნგრელებისა. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო უნგრეთის გამოსვლების წარმატებით დასრულება უარყოფითი შედეგის მომტანი. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ ანალოგიური მოვლენა XX საუკუნის სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ისტორიიდან. მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ნაწყვეტი პოლონეთის სამხედრო ატაშეს მოხსენებიდან

ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ეროვნული ბრიგადების ბედი და განვითარება მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული ხელისუფლების მიერ კავკასიაში გატარებულ პოლიტიკასთან.

კავკასიელი კომუნისტების ნაწილი მხარს უჭერდა ზემოხსენებული ერების წითელი არმიის შექმნას, ხოლო სხვები მხარს უჭერდნენ კავკასიაში მხოლოდ რუსეთის წითელი არმიის ყოფნას.

ასე იყო ამა წლის ივლისამდე. ივნისში ზემოთ დასახელებული რესპუბლიკების მთავრობებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების თათბირზე შეთანხმდნენ, უარი ითქვას ეროვნულ სამხედრო შენაერთებზე და კავკასია გაკონტროლდეს მხოლოდ რუსეთის წითელი არმიით.

ამავე დროს მე აღგიწერთ ქართული წითელი ბრიგადის მდგომარეობას. დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დანაყოფის ორწლიანი არსებობისა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ის იმყოფება საწყის მდგომარეობაში და სამხედრო თვალსაზრისით არ არის ღირებული.

მე აღვნიშნავ მხოლოდ მისი განვითარების გზაზე არსებულ ძირითად მომენტებს. ქართველი მენშევიკები აქტიურ აგიტაციას ეწევიან ქართულ წითელ ბრიგადაში შესვლაზე. ისინი თავისთვის უპირატესობას ხედავენ შეიარაღებული ქართველების რაოდენობის ზრდაში, რომლებიც ყოველთვის იქნებიან გარკვეული რეზერვი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მსურველებს უვადო შვებულებას აძლევს და ასე აფერხებს ამ სამხედრო ნაწილის განვითარებას.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ბოლშევიკები ითმენენ სომხური და აზერბაიჯანული ბრიგადების არსებობას, როგორც ნაკლებად საშიშს კომუნისტური მოძრაობისათვის. ამჟამად უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს სომხური ბრიგადა, აზერბაიჯანული კი ქართული ბრიგადის დონეზეა დაყვანილი.

საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის მიუხედავად, სომხური ბრიგადა თავის შემდგომ განვითარებაში განიცდის სიძნელეებს ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. რადგან სომხებმა კარგად იციან, რომ ამ საბრძოლო ერთეულს საბჭოთა მეთაურობა გამოიყენებს თურქებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ, რისი შედეგიც სომხებმა კარგად იციან საკუთარი გამოცდილებით.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ზემოთ თქმულის შეჯამებისას უნდა დავასკვნათ, რომ ეროვნული ბრიგადების არსებობა კავკასიაში ნარჩუნდება ჩანასახოვან მდგომარეობაში, კავკასიის ხალხების ვითომდა დამოუკიდებლობის დასადასტურებლად და ძირითადი პოლიტიკური ხაზის შეცვლამდე მათ არ აქვთ განვითარების არანაირი პერსპექტივა.

როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო კავკასიის რუსეთთან სრული შეერთების გადაწყვეტილება, კავკასიის ხალხების დამოუკიდებელი წითელი არმიების არსებობის იდეა თავისთავად გახდა არააქტუალური. ამ სამხედრო შენაერთების, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ სამხედრო ძალას, საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი მხოლოდ იმიტომ, რომ გაამყარონ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ფიქცია და ამავე დროს არ დატოვონ ადგილობრივი კომუნისტები ნაციონალისტური არგუმენტების გარეშე მენშევიკებთან კამათში.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

თუმცა ეს ბრიგადები შეიძლება იქცნენ სამხედრო ძალის ბირთვად და შეასრულონ იგივე როლი, რაც ითამაშა პოლონურმა ლეგიონებმა ჩვენს გათავისუფლებაში.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ამჟამად მე მიმოვიხილავ ქართული ბრიგადის მდგომარეობას, მაგრამ სამივე ბრიგადა მეტ-ნაკლებად ერთნაირია.

პოლონეთის ცენტრალური სამხედრო არქივი. ფონდი 1191. საქმე A II 33.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** დოკუმენტის მიხედვით, ვინ ეწეოდა აგიტაციას ქართულ წითელ ბრიგადაში ჩაწერაზე?

(1) **38.2.** დოკუმენტის მიხედვით, რა საკითხს მიეძღვნა თათბირი, რომელიც ივნისში გაიმართა?

(1) **38.3.** თქვენი აზრით, რატომ უჭერდა კავკასიელი კომუნისტების ერთი ნაწილი მხარს კავკასიაში მხოლოდ რუსული არმიის ყოფნას?

(1) **38.4.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ავტორი არაა მაღალი წარმოდგენის ქართულ ბრიგადაზე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** დოკუმენტის მიხედვით, რა მოვლენაში მიიღეს მონაწილეობა პოლონურმა ლეგიონებმა?

(1) **38.6.** თქვენი აზრით, რაში სჭირდებოდა პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ინფორმაცია კავკასიაში არსებული ეროვნული ბრიგადების შესახებ?

(2) **38.7.** რომელ წელს მომხდარი რა მოვლენის შემდეგ შეიქმნა საქართველოში ეროვნული წითელი ბრიგადა?

(2) **38.8.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რა საფრთხე შეიძლება შეექმნათ ეროვნულ ბრიგადებს ხელისუფლებისათვის და რა მეთოდს იყენებდა ამის საწინააღმდეგოდ ხელისუფლება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად დაასახელეთ, რატომ ინარჩუნებდა ხელისუფლება ქართულ ბრიგადას.

(2) **38.10.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ ეროვნულ ბრიგადას ჰქონდა შედარებით მეტი მხარდაჭერა ხელისუფლებიდან და მიუხედავად ამისა, რა კონკრეტული პრობლემა იდგა მის წინაშე?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე